№ 243 მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, ოქტომბრის 27 1920 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწიფო დრამის თეატრი.

(ეროვნული არტისტიული)

ხუთშაბათს, ოქტომბრის 28-ს

დავით კლდიაშვილის პიესები

„დარისპანის გასაჭირი“ და „ირინეს ბედნიერება“

ახალი დეკორაციებით, ტანისამოსით და მიზანსცენებით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

2—2

936

სახელმწ. თეატრი.

27 ოქტომბერს

აგესალომ და ეთერი

28 ოქტომბერს **მეფის სასოლე.**

29 ოქტომბერს

ევგენი ონეგინი.

30 ოქტ. ოპერა მუშებისთვის **გალეტის საღამო.** მიხ. მორდკინი ა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.

942. 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ეფლახიშვილი.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, 14 ნოემბერს დღის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11).

განსახილველი საგნები:

1. ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თხოვნა.
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა, სამაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს $6^1/_2$ საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა

961 3—2

ტფილ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსი აცხადებს,

რომ 30 ამა ოქტომბერს დღის 11-საათზე აღრიცხვის ნაწილში (ვოგზლის ქ. № 24)

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

ყოფილ ტფილისის მაზრის სამხედრო გამგეობის ძველი საქმეების სახვევ ქაღალდებზე, ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველნი უნდა გამოცხადდენ ზემოაღნიშნულ დროს, დანიშნულ ადგილას.

962 1—1

ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა

იწვევს

სამსახურში გამოცდილ პირთ გამგეობის მდივნის, ბუხჰალტრის და ბუხჰალტრის თანაშემწის თანამდებობებზე.

ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა, პირობების შესახებ მიჰმართონ გამგეობას (რუსთაველ. პრ. № 6).

3383 2—1

ოფიციალური განყოფილება.

ოთხ წლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის შტატი.

№ № რიგზე.	თანამდებობა.	მოსამსახურეთა რაოდენობა:	ჯამაგირი. ერთს თვეში.	ჯამაგირი. ყველას წელიწადში.
	პირადი შემადგენლობა.			
1	გამგე	1	4000	48000*)
2	სპეციალი საგნების მასწავლ.	4	3500	168000
3	ბუნების მეტყველების „	2	3500	84000
4	საზოგადო განათლების საგნებ.	1	3500	42000
5	ლმბრდელი	1	3000	36000
6	ექიმი	1	1000	12000
7	ფერშალი	1	2000	24000
8	ფერმის გამგე	1	3500	42000
9	მებაღე	1	2500	30000
10	ეკონომი	1	2000	24000
11	მზარეული	1	1500	18000
12	დაბალი მოსამსახურე	6	1300	93600
13	ფერმის მუდმივი მუშა	10	1300	56000
14	დურგალი	1	2000	24000
15	მეფუტკრე	1	1500	18000
16	წიგნთსაცავის გამგე	1	150	1800
17	საბჭოს მდივანი	1	150	1800
18	საქმის მწარმოებელი	1	2500	30000
19	პრაქტიკული საზაფხულო მეცადინეობის ხელმძღვანელობისათვის	—	—	30000
20	სასწავლო დამხმარე საშუალებანი (კაბინეტები), ლაბორატორია, წიგნთსაცავი და სხვა	—	—	40000
21	სახელმძღვანელოები, რვეულ. და სხვ.	—	—	20000
22	საკანცელარიო და წვრილმანი ხარჯი	—	—	15000
23	განათება, გათბობა, წყალი და სხვა	—	—	40000
24	სამეურნეო იარაღების შეძენა და შეკეთება	—	—	20000
25	ექსკურსიები	—	—	15000
25	ბინის ქირა და შენობების შენახვა	—	—	50000
	სულ	—	—	1083200

*) მოსამსახურეთ უნდა მიეცეთ ჯამაგირების გარდა ყველა დამატებანი 1919 წლის ნოემბრის შემდეგ გამოცემული დეკრეტით.

1. ყოველ მოსამსახურეს ეძლევა ბინა ან მისი ღირებულება (ჯამაგირის მეათედი).

2. შტატით განსაზღვრულ 12 გაკვეთილზე ზედმეტი ერთი წლიური გაკვეთილისათვის დანიშნულია 1,800 მანეთი. პრაქტიკულისა და სადემონსტრაციო მეცადინეობის ხელმძღვანელობისათვის გასამრჯელოს განსაზღვრის დროს ორი საათი სადემონსტრაციო მეცადინეობისა და ხუთი საათი სასოფლო-სამეურნეო მუშაობისა ჩაითვლება: ზამთარში ერთ საათად, ხოლო ზაფხულში-ნახევარ საათად თეორიული მეცადინეობისა.

3. მასწავლებელი ვალდებულია მისცეს კვირაში არა ნაკლები 12 გაკვეთილისა და უხელმძღვანელოს მოწაფეთ სადემონსტრაციო და პრაქტიკულ მეცადინეობაში თეორიული მეცადინეობისა დროს. მასწავლებელს მიეცემა ზედმეტი გასამრჯელო მხოლოთ საზაფხულო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის.

4. სკოლის გამგეს უნდა ჰქონდეს არა უმეტეს 6 გაკვეთილისა.

5. გარდა ზემოაღნიშნული თანხისა სკოლისთვის უნდა გადიდოს ხაზინიდან წლიურად: 1) ხუთწლეულები, თანახმად განათლების სამინისტროსაგან მიღებული წესისა და 2) სასწავლო მეურნეობისთვის ორმოცი დესეტინის დასამუშავებლად და საქონლის შესანახად საჭირო ხარჯი, რომელიც გამოთხოვილი უნდა იქნეს ხარჯთ-აღრიცხვის წესით.

6. ხარჯთ-აღრიცხვის წესით ხაზინიდან უნდა გაცემულ იქნეს ერთდროულად მეურნეობის მოსაწყობად საჭირო თანხა.

7. იმ მოსამსახურეთა შვილები, რომელთაც უმსახურიათ არა ნაკლებ 10 წლისა განთავისუფლებულ იქნებიან სწავლის ფულის გადახდისაგან, სპეციალი და საზოგადო განათლების სკოლებში.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ხ. მდივანი.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რამიშვილი.

ინსტრუქცია

სანაპირო პუნქტების ექიმ-ვეტერინარებს.

სანაპირო პუნქტების ექიმ-ვეტერინარებს ევალებათ:

1) ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობა:

ა) მოსაზღვრე რესპუბლიკებიდან შინაურ პირუტყვთა გადმორეკაზედ და საქონლის ნედლი დაუმუშავებელ მასალის გადმოტანაზედ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში.

ბ) სანაპირო ხაზის და განსაზღვრულ რაიონის პირუტყვთა ჯანმრთელობაზედ.

გ) ადგილობრივ ადმინისტრაციის და მცხოვრებთა მიერ ვეტერინარ-სანიტარულ ზომების კანონიერად აღსრულებაზედ.

2) ამას გარდა ექიმი-ვეტერინარი მოვალეა:

ა) განსაზღვრულ სანაპირო რაიონის შინაურნი პირუტყვნი პერიოდიულად დაათვალიეროს და შეადგინოს არსებულ ფორმებით სიები.

ბ) თვალყური ადევნოს, რომ მის რაიონში გადმოირეკოს საქონელი მხოლოდ სათანადო ჯანმრთელობის მოწმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი ან დააბრუნოს უკან და ან თუ მეპატრონე დასთანხმდება—საქონელი ჩააყენოს კარანტინში მეპატრონეს ხარჯზე. თორმეტი დღის განმავლობაში ნახირის ჯანმრთელობის გამოსარკვევად.

შენიშვნა: საკარანტინო ალაგი ინიშნება სანაპირო ხაზზედ ადგილობრივ თემთან და სანაპირო რაზმის უფროსთან წინასწარ შეთანხმებით.

გ) დაუყონებლივ წავიდეს და ადგილობრივ გამოიკვლიოს, რაკი განცხადება მიიღო წერილობით და ხიტყვიერათ, ვისგანაც უნდა იყოს, საქონლის საეჭვო რამე ავადმყოფობის შესახებ.

დ) მიიღოს ზომები საქონლის გადამდებ სენის წინააღმდეგ.

ე) იქონიოს ზედამხედველობა საქონლით და მის დაუმუშავებელ ნედლი მასალით სავაჭრო ბაზარზედ და აგრეთვე იმ ქარხნებზე, სადაც მუშავდება ეს მასალა.

ვ) დაწვრილებით აღნუსხოს განსაკუთრებით ფორმის დავთრებში საზღვრიდან გადმორეკილ საქონლის რიცხვი და გადმოტანილი ნედლი მასალის რაოდენობა.

ზ) გაშინჯოს და შეამოწმოს ჯანმრთელობის მხრივ საზღვრებიდან გადმორეკილი ცხენები, ვირები, ჯორები და თუ აღმოჩნდა აშკარად ავადმყოფი ქოთაოთი, მოიკლას, თუ საჭვო სხვა საშიში გადამდებ სენის მხრივ, პირუტყვი უკან დააბრუნოს.

თ) თვალყური ადევნოს, რომ საქონელი მოირეკოს კანონის ძიერ დაწესებული გზით გასასინჯათ შიჩნეულ ალაგას.

ი) იქონიოს ცნობები, რა ეპიზოტიებსა აქვს ალაგი მოსაზღვრე სახელმწიფოებში.

კ) თუ საქონლის გადასახიჯვის დროს საზღვრებიდან გადმორეკილ ნახირის რიცხვი არ შეეფერება მოწმობაში ნაჩვენებ რაოდენობას, ექიმი-ვეტერინარი აყენებს საქონელს განსაკუთრებულ ზედამხედველობის ქვეშ ჯანმრთელობის გამორკვევამდე.

4) ყოველ თვის და წლის ბოლოს ექიმ-ვეტერინარს ევალება წარუდგინოს შ. ს. სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას ცნობები და ანგარიში თავის რაიონის და პუნქტის შესახებ.

5) საზღვარზედ მორეკილ საქონლის შესახებ ექიმ-ვეტერინარს ატყობინებს სანაპირო ხაზის სადარაჯოს ადგილობრივი უფროსი და ან თემის ადმინისტრაცია.

6) შეტყობისთანავე ექიმი-ვეტერინარი ადგილობრივ, საზღვარზედ, შინჯავს საქონელს და ამოწმებს მის ჯანმრთელობას, რის შემდეგაც აძლევს მოწმობას და უჩვენებს გზას დანიშნულ ალაგას გადასარეკად.

7) თუ სანაპირო რაზმმა დააკავა კონტრაბანდული საქონელი, დაუყონებლივ ეცნობება პუნქტის ექიმ ვეტერინარს, თვით საქონელი კი ირეკება მახლობელ სადარაჯო პოსტზე. ექიმი ვეტერინარი ადგილობრივ სადარაჯო უფროსთან შეთანხმებით ირჩევს განსაკუთრებულ ალაგს საქონლის კარანტინში დასაყენებლად. კარანტინის ვადის გასვლამდის საქონელი რჩება ექიმ-ვეტერინარის ზედამხედველობის ქვეშ და თუ საქონელი აღმოჩნდა ჯანმრთელი, საქონელი გადაეცემა ადგილობრივ სანაპირო სადარაჯოს უფროსს მახლობელ საბაჟოზე გადასარეკად.

ამ შემთხვევაში გამოწვეული ყველა ხარჯი უნდა დაიფაროს საქონლის ჭირთან საწინააღმდეგო კრედიტიდან.

8) თუ კონტრაბანდით გადმორეკილი საქონელი დაჭირიანებულია და ან ჭირი გამოაჩნდა კარანტინის დროს, ორივე შემთხვევაში ყველა აშკარად დავადებული და სიცხე აწეული საქონელი უნდა მოიკლას და დაიფლას ორმოში, მოხდეს დეზინფექცია, დანარჩენი სალი საქონელი კი დაუყონიბლივ გაიგზავნოს მახლობელ რკინის გზის სასაკლაოზედ ადგილობრივ საბაჟოს მიერ.

ყველა ხარჯი გამოწვეული კარანტინით, საქონლის დახოცვით, ორმოში ჩაფლვით და დეზინფექციით უნდა დაიფაროს საქონლის ჭირთან საწინააღმდეგო კრედიტიდან. ამ კრედიტიდგანვე ეძლევა საჩუქარი კონტრაბანდიულ საქონლის დამაკავებელთ.

9) თუ კონტრაბანდულ საქონელს აღმოაჩნდა რაიმე სხვა გადამდები ავადმყოფობა, გარდა საქონლის ჭირისა, ამ შემთხვევაშიაც ექიმი ვეტერინარი იღებს კანონიერ ზომებს სენის წინააღმდეგ და საქონლის გაჯანსაღების შემდეგ გარდასცემს სანაპირო სადარაჯო გამგეობას—საბაჟოში გადასაგზავნად.

10) როგორც სანაპირო ხაზის, აგრეთვე საბაჟო დაწესებულებათა მოხელენი მოვალენი არიან აღმოუჩინონ ყოველ-გვარი კანონიერი დახმარება ექიმ-ვეტერინარს სამსახურის აღსრულების დროს.

11) ყველა სანაპირო პუნქტზედ არის ერთი ფერშალი ვეტერინარი, რომელიც ექვემდებარება ექიმ-ვეტერინარს სამსახურის აღსრულების დროს.

12) ფერშალი-ვეტერინარი სამსახურის დროს ჩადენილი დანაშაულობის გამო აგებს პასუხს სასამართლოს წინაშე.

13) ექიმი-ვეტერინარი ხელმძღვანელობს სამსახურის აღსრულების დროს არსებულ კანონებით და სავალდებულო დადგენილებებით.

14) სანაპირო პუნქტების ექიმი-ვეტერინარი თემთან შეთანხმებით აწყობს ადგილობრივ ამბულატორიას და ეხმარება მცხოვრებთ ყველა სავეტერინარო საქმეებში.

არა ოფიციალური განყოფილება.

ეკონომიური პრიზისის გამო.

ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება; ამ მოვლენისათვის არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია მმართველ პარტიას, რომელსაც დღეს კისრად აწევს მთელი სახელმწიფოებრივი სიმძიმე. ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მოწვეულ იქნა ეკონომიური თათბირი, რომელშიაც მონაწილეობდენ ს.-დ. სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი; თათბირმა სამ დღეს გასტანა. თათბირზე ყველა მონაწილენი სიხარბით აღნიშნავდენ დღევანდელ ჩვენს ეკონომიურ ტკივილებს და ყველა ცდილობდა გამოენახა ამ ტკივილების დასაამებელი საშუალებანი. აღნიშნულ იქმნა აგრეთვე მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც განხორციელებულ უნდა იქნას სულ ახლო მომავალში ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც მომხსენებლებმა, ისე მოკამათეებმა ნათლად აღნიშნეს, რომ ჩვენი ეკონომიურად დაუძლურების მიზეზი, გარდა იმ საერთო მოვლენებისა, რომელიც შედეგად მოყვა მსოფლიო ომს, რამაც ამა თუ იმ სახით მთელ ევროპას აგრძნობინა ეკონომიური სიმწვავე, არის აგრეთვე საკუთარი, სუბიექტიური მიზეზები ჩვენში, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიური ჭრილობების დაიარებას. უპირველესად ყოვლისა ამ მიზეზთა შორის თათბირმა აღნიშნა მუქთახორობა; მართლაც, ჩვენში, განსაკუთრებით დიდ-ქალაქში, მეტად გაძლიერდა მუქთა მჭამელი ხალხი, რომელიც არავითარ ღირებულებას არ ქმნის, არც ერთ პროფესიას არ ეკუთვნის, არც ხნავს არც თესავს, მაგრამ მაინც ყოველთვის მაძღარი და მხიარულია; ცხადია, ამ კათეგორიის ვაკბატონები სხვა და სხვა კომბინაციებით ახერხებენ თავის „რჩენას“. ეს კომბინაციები კი სათანადოთ უწყობენ ხელს ჩვენი ეკონომიური სისუსტის გაძლიერებას; ამ უსაქმო ხალხისთვის თათბირმა საჭიროდ აღიარა საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღება, რაც მეტად მიზანშეწონილ საშუალებად მიგვაჩნია. გარდა ამისა ტფილისში ბლომად არიან ისეთი პარაზიტები, რომლებსაც არაფერი არ აერთებს ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან, მუქთათ სწუწნიან ჩვენს დოვლათს, სამაგიეროდ მტრობისა და მავნებლობის მეტი არა გვინახავს მათგან; რაც მალე გაიწმინდება ტფილისი ამ მავნე ელემენტებისაგან, მით უფრო მალე შემსუბუქდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა; ამისათვის თათბირმა ერთ ხმად დაადგინა მათი განდევნა ჩვენ ტერიტორიიდან. ტფილისის გაწმენდის საჭიროება არა ერთხელ გვიგრძვნია, მაგრამ, სამწუხაროდ, ის დღემდე სხვა და სხვა გარეშე თუ ჩვენგანვე დამოკიდებული მიზეზების გამო მაინც სისრულეში ვერ მოვიყვანეთ. დღეს კი იმედია ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

თათბირმა ყურადღება მიაქცია აგრეთვე ბოროტ-მოქმედებას, მექრთამეობას, რომელმაც ჩვენში ამ ბოლო დროს ქრონიკული ხასიათი მიიღო. მთავრობა ყოველგვარ საშუალებით ებრძვის ბოროტ-მოქმედებას, ის დაუზოგავათ სდევნის ყველა ბოროტმოქმედს, რასაც ნათლად ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარის უკანასკნელი ბრძანებანი, მაგრამ არ იქნა ბოროტ-მოქმედებას, ზოგიერთი მოხელის თავგასულობას ბოლო მაინც არ მოეღო; ასეთ დამნაშავეთ თათბირმა უსასტიკესი სასჯელი მიუსაჯა; მოსაწონი განაჩენია—დე, დაისაჯოს უპასუხისმგებლო სახელმწიფო მოხელე, რომლის საქცელი სახელმწიფოებრივ ღალატს უდრის.

ძალიან მწვავედ სდგან ჩვენს წინაშე ბინის საკითხიც, ამ სიმწვავეს უმეტესად მუშათა კლასი გრძნობს, ბევრი მათგანი ნესტიან სარდაფებში სცხოვრობს, ზოგს სრულიადაც არ აქვს ბინა და რომელიმე ნაცნობ-ნათესავთან არის შეხიზნული. არიან ისეთებიც, რომლის ოჯახის წევრთა რიცხვი 3-4 სულს არ აღემატება, მაგრამ 6-7 საუკეთესო ოთახი უჭირავს, თათბირმა სამართლიანად დაადგინა მოხდეს ბინების წესიერად განაწილება მუშათა ინტერესის დაცვით. საერთოდ თათბირმა სხვა მრავალი საკითხიც წამოაყენა მაგრამ რომ უფრო ნათელ ვყოთ მისი საქმიანობა აქვე ვბეჭდავთ თათბირის მიერ მიღებულ რეზოლიუციას:

მოისმინა-რა მოხსენება რესპუბლიკის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობის შესახებ პარტიული თათბირი აღიარებს, რომ მსოფლიო ომმა ჩანთქა აუარებელი საწარმოო საშუალებანი, გაანადგურა წინანდელ თაობათა მიერ დაგროვილი სიმდიდრე და ძირბუდიანად შეარყია ევროპის სახელმწიფოთა ფინანსიური კეთილდღეობა.

რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოს მტაცებლური თვალით უცქერდა. მას, როგორც კოლონიას ძარცვავდა და ხელს უშლიდა ჩვენში საწარმოო ძალთა განვითარებას და აქ დამოუკიდებელი ეკონომიური ორგანიზმის განმტკიცებას. სოც.-დემოკრატიულმა პარტიამ ჩაიბარა ეკონომიურათ დაშლილი ქვეყანა პრიმიტიული სასოფლო მეურნეობით და სუსტი ინდუსტრიით.

მთელი ორ-ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატია ომის ველზე იცავდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართ, ხოლო მუდმივი ომი კიდევ უფრო აუარესებდა ისედაც დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებს.

თათბირი ითვალისწინებს-რა ქვეყნის მძიმე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობას, სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ მთელი შეგნებული დემოკრატია გაათკეცებულ ყურადღებას მიაპყრობს იმ დაბრკოლებათა დაძლევას, რაიცა წინ ეღობება რესპუბლიკის ეკონომიურ განვითარებას და ფინანსიურ მოღონიერებას.

თათბირი ადგენს მიზანშეწონილ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დაედვას:

ა. ბიუჯეტის წონასწორობის დამყარება, ბ. მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინება, გ. საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება და დ. ექსპორტის გაძლიერება და იმპორტის შემცირება.

ამისათვის აუცილებელია შემდეგი ზომების გატარება:

1. ბიუჯეტის მოსაწესრიგებლად.

ა. ხარჯების ეკონომია:

მოსამსახურეთა შტატების შემცირება სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, საქმის წარმოების გამარტივება, ზოგიერთ დაწესებულებათა სრული ლიკვიდაცია და სხვ.

ბ. იძულებითი საშინაო სესხის აღება ფულის ნიშნების წინასწარი აღრიცხვით.

გ. გადასახადთა სისტემის გადასინჯვა და მათი აკრეფის გაძლიერება.

ვ. მთავრობის კონტროლი ადგილობრივ თვითმართველობათა და სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის შესათანხმებლად და გასაერთიანებლად და მათი ხარჯების შესამცირებლად.

ზ. თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლების გამიჯვნა.

2. ფინანსების გასაუმჯობესებლათ:

ა. ქალაქდის ფულის რაოდენობის განსაზღვრა.

ბ. საკუთარი ფულის სისტემის შექმნა და მისი რეალური უზრუნველყოფა.

გ. რუსეთის ძველ საკრედიტო დაწესებულებათა ლიკვიდაცია.

დ. ბანკების კონტროლი.

ე. სავალიუტო ოპერაციებს მხოლოდ სახელმწიფო ბანკი და მის მიერ არჩეული საკრედიტო დაწესებულებანი უნდა აწარმოებდენ.

ვ. ამ ოპერაციების საწარმოებლად სახელმწიფო ბანკს სავალიუტო ფონდი ეძლევა.

ზ. ანგარიშის გასწორება და საქონლის ყიდვა-გაყიდვა რესპუბლიკის საზღვრებში საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით ხდება.

3. წარმოების სფეროში.

ა. ახალი საწარმოო დარგების შექმნა; კერძო ინიციატივის ხელის შეწყობა, რამდენათაც ის წარმოების განვითარებას ემსახურება.

ბ. უცხო სამრეწველო კაპიტალის შემოსასვლელათ ზომების მიღება.

გ. სამრეწველო და სამეურნეო სესხის შემოღება.

დ. სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის უზრუნველყოფა მანქანებით და ნედლი მასალით.

ე. პრაქტიკული სასწავლებლებისა და კურსების დაარსება სპეციალისტების მოსამზადებლათ; უცხოელი სპეციალისტების მოწვევა.

ვ. ეკონომიური საბჭოს დაარსება მთლიანი ეკონომიური სისტემის შესაქმნელათ, რესპუბლიკის საწარმოო საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენება,

ზ. სამრეწველო აღწერის მოწყობა.

4. საგარეო ვაჭრობის სფეროში:

ა. ფუფუნების საგნების შემოტანის სავსებით აკრძალვა და საიმპორტო საგანთა შორის უპირატესობის საწარმოო საშუალებათათვის მინიჭება.

ბ. სახელმწიფო დაწესებულებანი, კოოპერატივები და ადგილობრივი თვითმმართველობანი უცხოეთთან აღებ-მიცემობას მთავრობის კონტროლით უნდა აწარმოებდენ.

გ. მიღებულ იქნეს ზომები საკუთარი ტონაჟის შესაძენათ.

სასურსათო სფეროში.

ა. სახელმწიფო უნდა შეეცადოს თავისი მოთხოვნილებანი საკუთარი სურსათით დაკმაყოფილოს; პურის გასაიაფებლად მიღებულ იქნეს ზომები ხორბლეულობის უცხოეთიდან შემოსატანად.

ბ. უნდა გაფართოვდეს სამელიორაციო მუშაობა, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ჭაობების ამოშრობას, წყლების გამაგრებას და გზების გაყვანას, მოეწყოს აგრონომიული დახმარება და თავისუფალი მიწების ინტენსიური დამუშავება სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უცხოეთიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტას; გაფართოვდეს თავისუფალ მიწებზე გადასახლების საქმე.

გ. სურსათის გატან-შემოტანის აკრძალვის უფლება რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის.

დ. მიღებულ იქნეს განსაკუთრებული ზომები სურსათის რესპუბლიკის საზღვრებიდან უცხოეთში გატანის წინააღმდეგ.

საერთო ზომები.

ა. ქალაქების გაწმენდა პარაზიტულ ელემენტებისაგან.

ბ. სავალდებულო შრომის შემოღება არა მშრომელთათვის.

გ. დახურვა გასართობ კლუბების, კაფეშანტანებისა და ისეთი რესტორანების, რომელთაც კაფეშანტანების ხასიათი აქვს; მათ მაგიერ იაფ ფასიანი სასადილოების მოწყობა; ხელის შეწყობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის პურით სავაჭროების გაღების საქმეში; ტკბილეულობის გამოცხობის აკრძალვა; რესტორანები, სასადილოები და სამიკიტნოები უნდა იხურებოდეს ღამის ათ საათზე.

დ. ბინის საკითხის მუშათა ინტერესების და მიხედვით მოწესრიგება პროფესიონალურ კავშირების მონაწილეობით.

ე. უსასტიკესი სასჯელი სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა იმ მოსამსახურეთათვის, რომელნიც მიითვისებენ, გაფლანგავენ და მოიპარავენ საზოგადო ქონებას ან ქრთამს აიღებენ.

თათბირი აღიარებს, რომ ყველა ეს ზომები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიღებს სასურველ ნაყოფს, თუ საქართველოს საწარმოო ძალები და შრომის ნაყოფიერება გაძ-

ლიერდება, დამზადებულ საქონელთა რაოდენობა გამრავლდება და ამით შეიქმნება შესაძლებლობა საქონლის ფასების დაწევის და გაზარის ნორმალურ პირობებთან დაახლოების.

შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად კრება საჭიროდ სთვლის მუშათა უზრუნველყოფას პირველ საჭიროებათა საგნებით, განსაკუთრებით სანოვაგით და სადაც ეს ტეხნიკურად შესაძლებელია, შემოღებულ იქნას ნარდად მუშაობა და პრემიული სისტემა. (რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად, ერთმა თავი შეიკავა)

თათბირი ადგენს.

ა. პურის დამზადებას მომარაგების სამინისტრო საზოგადოებრივ ორგანიზაციების დახმარებით უნდა აწარმოებდეს.

ბ. მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები პურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

გ. საჩქაროდ პირველ შეძლებისთანავე გადიდებულ იქნეს პურის ულუფა ნახევარ გირვანქით ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის.

დ. მიღებულ იქნეს ზომები მუშა-მოსამსახურეთა ხორცით, ბოსტნეულებით და სხვა სანოვაგით უზრუნველსაყოფად.

დ. შესდგეს განსაკუთრებული კომისია მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ბოროტ-მოქმედებათა აღმოჩენის ხელშესაწყობად.

იმდია ამ მიზან შეწონილ ზომებს მთავრობა დაადასტურებს; რის შეძდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა რამდენიმედ მაინც გაუმჯობესდება. საჭიროა მხოლოდ ამ ზომების საჩქაროდ განხორციელება. ამისათვის ჩვენ მოუწოდებთ რესპუბლიკის ყველა ორგანიზაციებს, ყველა მომქმედ ძალებს, რომლისთვის ძვირფასია დემოკრატიულ სახელმწიფოს კეთილდღეობა ამოუდგენ გვერდში მთავრობას დასახელებულ ზომების ცხოვრებაში გასატარებლად.

იუსტიციის სამინისტროში

პლენარული სხდომა.

ოქტომბრის 22 იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის თავმჯდომარებით შესდგა კანონების გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. სხდომას დაესწრენ ზოგიერთი სენატორებიც. განიხილეს სისხლის სამართლის კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი სამხედრო-სასამართლოების გაუქმების შესახებ. მიიღეს პროექტის პირველი მუხლი, რომელიც ჯარებში სამხედრო სასამართლოების გაუქმებას ეხებოდა. გადასწყვიტეს სამხედრო სასამართლოს საქმეები ნაფიც მსაჯულთა თანადასწრებით საოლქო სასამართლოებს გადასცენ, ხოლო პოლკის სამმართველოების საქმეები კი უბნის მომრიგებელ მოსამართლეებს. საოლქო სასამართლოსა და მომრიგებელ მოსამართლის დადგენილების გასაჩივრება საერთო წესით იწარმოებს.

ფინანსთა სამინისტროში

ნავთის პროდუქტ. დამზადების შესახებ

ხუთშაბათს ფინანსთა სამინისტროში შესდგება სხდომა სახელმწიფოს მიერ ნავთის პროდუქტის დამზადების საკითხის განსახილველად. განიხილავენ შემდეგ საკითხებს: 1) ნავთის პროდუქტის ადგილობრივად ყიდვა. 2) მათი გაგზავნა და გადაზიდვა. 3) შენახვა. 4) ფასების დაწესება. 5) განაწილების გეგმის დამტკიცება.

სესხი და სამხედრო გადასახადი.

ფინანსთა სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას 6% შინაურ სესხისა და ერთდროულ სამხედრო გადასახადის დაწესების პროექტი.

მიწად-მოქმედების სამინისტროში

გადასახადი საძოვარ ადგილზე.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საიჯარადრო განყოფილებაში მეცხვარეთა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდა თათბირი ზამთრისათვის საძოვარ ადგილებზე გადასახადის გადიდების შესახებ. თათბირმა საძოვარ ადგილებზე შემდეგი ნიხრი დააწესა: პირველ კატეგორიის საძოვარ ადგილის დესეტინაზე 200 მანეთი; მეორე კატეგორიის 160 მ. მესამე კატეგორიის 100 მ. განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც სამაზრო ერობათა შუამდგომლობით შეიძლება ეს გადასახადი გადიდებულ იქმნას 50%, თუ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან სათანადო ნებართვა იქმნა. თათბირის დადგენილებანი ცირკულიარის სახით ეუწყათ ერობებს.

მეღვინეთა საბჭო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსდება მეღვინეთა და მევენახეთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეთაც იქნება ან მიწად-მოქმედების მინისტრის ამხანაგი და ან სამინისტროს საბჭოს წევრი. საბჭოში შეივლენ წევრებად; გარდა სხვა და სხვა განყოფილების უფროსთა სხვა უწყების წარმომადგენლობაც. საბჭოს მიზანია განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც მეღვინეობისა და მევენახეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. საბჭო მოკლე ხანში განიხილავს სამაზრო საბჭოების მოღვაწეობის გაერთიანების და მეღვინე-მევენახეობისათვის საჭირო იარაღის მიწოდების საკითხს.

უცხოეთი

(საინფ. ბიურ. ცნობა.)

ინტერვიუ კამენევთან.

„დეილი ტელეგრაფი“ აქვეყნებს ინტერვიუს კამენევთან, რომელიც აცხადებს: ლოიდ-ჯორჯი იმდენათ გამოქნილია, რომ მას თავისუფლად შეუძლია არ დაეჯახოს პოლიტიკურ ხღვის ქვეშ არსებულ ქვებს. ლოიდ-ჯორჯის უმთავრესი მიზანია, რომ შეაჩეროს მუშათა მოძრაობა; ამისათვის იგი ხელოვნურად სცდილობს ხალხს ეჭვი შეატანიოს ბოლშევიკებისა და ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერების პატიოსნებაში. როდესაც კორესპონდენტი შეეკითხა მას რუსეთის ბრილიანტების შესახებ მან განაცხადა, რომ რუსეთის ბრილიანტები ამ უკანასკნელ თვეებში მართლაც გაჭონდათ სხვა და სხვა ქვეყნებშიო.

უკრაინის აჯანყებულნი.

მიღებულია ცნობები, რომ უკრაინის აჯანყებულნი წინ მიიწევენ და აიღეს ეკატერინოსლავი და ნიკოლაევი. ოდესაში მიმავალი გზები ყოველ მხრივ მოჭრილია.

ოთხი მთავრობა.

„რუსაგენტის“ ცნობით უკრაინაში ამ ჟამად ოთხი მთავრობაა: 1 უკრაინის მთავრობა პეტრუშევსკის მეთაურობით, 2. პეტლიურის მთავრობა სტანოსლავოვში. 3. გალიციის საბჭოთა მთავრობა ზატონსკის მეთაურობით. და 4. ხარკოვის საბჭოთა მთავრობა რაკოვსკის მეთაურობით.

საბჭოთა უკრაინაში.

„რუსაგენტის“ ცნობით ხარკოვის იზვესტიაში დაბეჭდილია მანულსკის წერილი, საიდანაც სჩანს, რომ საბჭოთა უკრაინის ეკონომიური მდგომარეობა უფსკრულის პირზეა მისული. მანულსკი თავის წერილს ასე ათავებს: არსებობა თუ გვინდა უნდა ვიმუშაოთ. ეს კი რთული საქმეა, ვინაიდან აქ ჩვენ მცხოვრებლების პასიურ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე.

რუსთა პოლიტიკური კომიტეტი.

შესდგა რუსთა პოლიტიკური კომიტეტი სვენკოვის მეთაურობით. კომიტეტის პროგრამმა: დემოკრატიულ რესპუბლიკანური წყობილება, ფართო რეფორმები, გლეხებისათვის მიწის მიცემა და სხ.

(გაზეთებიდან).

მაქსიმ გორკი აზიის საფრთხის შესახებ.

გაზეთი „დეილი ნიუსი“ აქვეყნებს მაქსიმ გორკის წერილს, რომელიც მიუღია ინგლისს ცნობილ მწერალ უელსს. მაქსიმ გორკი სხვათა შორის შემდეგს სწერს: „ჩვენ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, როდესაც თვით ფიცხი და ავი ფანტაზიაც ვერ მოიგონებს ისეთ საშინელებას, როგორც დღევანდელი სინამდვილე. ერთი ამისთანა აღმაშფოთებელი საქციელს სჩადის რუსეთი, რომელიც მთელ თავის შემოქმედებითი უნარს და ძალას ხარჯავს სოციალისტურ ექსპერიმენტებზე. ეს ფრიად საყურადღებო უნდა იყოს მთელ კაცობრიობის ცხოვრებისთვის. ყოველ შემთხვევაში რუსეთმა კარგი ცდა ვააკეთა ევროპისთვის, მაგრამ ევროპა, რომლის წარმომადგენლათ ითვლებიან ინგლისი და საფრანგეთი იმის ცდაშია, რომ ჩვენ როგორმე დაგვახრჩონ. მე არ მჯერა, რომ ევროპისთვის ეს ხელსაყრელი იყოს, მაგრამ მოსალოდნელი კია, რომ რუსეთმა აზიისკენ პირი ჰქნას და მასთან ერთად შეერთებულ ძალით საფრთხეს წარმოადგენდეს ევროპის კულტურისათვის? მე ეს საკითხი არ მასვენებს კოშმარივით“.

იტალიელთა დარბევა.

მიღებულია ცნობა იტალიელთა დარბევის შესახებ შესტ-ფრანქფურტში (ილლინოისის შტატშია). ამერიკელთა ბრბო, მას შემდეგ, როცა შემთხვევით ჩხუბის დროს მოკლულ იქნა ორი ამერიკელი, დაერია იტალიელთ, დაარბიეს იტალიელთა მაღაზიები და ბინები. იტალიელნი ძალით გამოყავდათ ბინებიდან და ქუჩაში უსწორდებოდენ. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ჯერჯერობით დათვლილია მხოლოდ 150 დაჭრილი და 10 მკვდარი. წესრიგის აღსადგენათ გაგზავნეს მილიციის, გაძლიერებული რაზმი.

დეზერტირობა ბალშევიკურ ჯარში.

„რუსაგენი“ იუწყება: ბოლშევიკების მეათე არმიის უფროსი ოფიციალურად აუწყებს მოსკოვს, რომ ყუბანში წითელ არმიელთა შორის დეზერტირობამ საშიში ხასიათი მიიღო. ზოგიერთ ბატალიონებში დარჩა მხოლოდ 15 კაცი. კავალერია იძულებულია მთელი დრო მხოლოდ დეზერტირობის დევნას მოანდომოსო.

მათხოვართა ბრბო.

ჰელსინგფორსის პრესაში დაიბეჭდა შემდეგი ამონაწერი გაზეთ „ნაციონალ ცეიტუნგიდან“: „საკვირველია, რომ წითელი არმია იმარჯვებს. ეს ჯარი ერთიანად წარმოადგენს მათხოვართა ბრბოს. საშინელ მდგომარეობაშია მათი ჩაცმის და გამოკვების საქმე. აცვიათ ძონძები, იკვებებიან კი იმ ხალხის ხარჯზე, რომლებზედაც იმარჯვებენ.

სომხეთში

სომხეთის ჯარების მთავარი სარდალი ოქტომბრის 25 იუწყებოდა: ოქტომბრის 24 ოსმალები მთელი დღის განმავლობაში დიდის ძალებით შემოტევას აწარმოებდენ იგდირის ფრონტზე, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა ისინი უკუ აგდო.

ზანგეზურ-ნახიჩევან-ყაზახის რაიონში.

ერევნიდან იტყობინებიან რომ იქ მიუღიათ ცნობები 2000 თათართა ბანდები ბალშევიკების წინამძღოლობით ზანგეზურის რაიონში თავს დასხმიან სომხის სოფელს ანგელაუტს და საშინელი ბრძოლა გამართულა. ნახიჩევანში როგორც იტყობინებიან დიდი სომშილობაა. იქ იმყოფებიან 600 მეტი ასკერი, რომელნიც არავითარ დახმარებას არ ღებულობენ და განწირულ მდგომარეობაში არიან. აზერბეიჯანის გაზეთები პროვაკაციულ ინფორმაციას იტყობინებიან ამ ამბების შესახებ. ყაზახის ფრონტზე სომხების მხრისკენ გადავიდნენ სომეხი-ბალშევიკები ცოდვის მონანიებით და აღოქმის დადებით.

ნუხინის და არებსის მაზრებში.

გაზეთ „არაჩის“ გადმოცემით ნუხინის და არების მაზრებში სომეხთა სოფლები სრულიად განადგურებულია. მცხოვრებთა მომეტებული წილი დაუხოცია და სოფლები გადაუწვიათ, საქონელი წაუსხამთ. ბევრი სომეხი ტყვედაც არის წაყვანილი,

ახალი ამბები

კორესპონდენციების გაგზავნა საზღვარგარეთ. ქართულ-ფრანგულმა სავაჭრო პალატამ სთხოვა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, რათა მან იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ პალატას ნება დაერთოს საზღვარგარეთ კორესპონდენციის გაგზავნის საქმის მოწყობისა.

შემოსავალ კვალობითი გადასახადი. ოქტომბრის 28, „ჩემოს“ საზოგადოების ბინაზე გ. ჟურულის თავმჯდომარეობით მოხდება კომისიის სხდომა შემოსავალ კვალობის გადასახადის რეკონსტრუქციის შესახებ მოსალაპარაკებლად.

პოლკ. კორბელის მოგზაურობა საქართველოში. ამერიკაში მყოფი საფრანგეთის სამხედრო მისიის წარმომადგენელი პოლკ. კორბელი მასთან მივლენილ ოფიცერ ლეიტ. ლექვინაძესთან ერთად ოქტ. 16, გაემგზავრა სოფელ სალხინოს (სამეგრელოშია) პრინც მიურატის მამულში. კორბელმა დაათვალიერა მამულები და სკოლები. უკან დაბრუნებისას კორბელმა დაათვალიერა მარტვილი ტ წყალვარდნილი.

ბრიტანეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია. ამიერ-კავკასიაში მყოფი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი სთხოვს ტფილისში მცხოვრებ ბრიტანეთის ყველა ქვეშევრდომს დაუყონებლივ გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ ტფილისში არსებულ ბრიტანეთის საკონსულოში (სერგიევის ქ. № 13). მიღება სწარმოებს 9—1 საათამდე.

მთავრობის თავმჯდომარესთან. ოქტ. 25, მთავრობამ მიიღო: ადერბეიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია, საგანგებო რევიზორი გ. ი. ხუნდაძე, საქართველოს ცენტრალურ კოოპერაციათა თავმჯდომარე დარჩია. კოოპერატივთა თავმჯდომარემ აღძრა საკითხი მარგანეცის გატანის შესახებ. მარგანეცი უნდა გადაცვალონ რესპუბლიკისთვის საჭირო საქონელზე სასოფლო-სამეურნეო და სხვა მანქანებზე.

ახალი საადმინისტრაციო ერთეულები. ეროობათა კავშირის კომიტეტი ამ ჟამად ბეჭდავს და ახლო მომავალში გამოვა გასასყიდათ და ხელის მომწერთათვის დასარიგებლად პ. ინგოროყვას შრომა: პროექტი და განმარტებითი წერილი საქართველოს ტერიტორიის ახალი საადმინისტრაციო ერთეულად დანაწილების შესახებ, მოწონებული და მიღებული დამფუძნებელი კრების თვითმმართველობის კომისიის მიერ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წინდაწინვე ჟურნალ „ერობის“ რედაქციაში (რუსთაველის პროსპექტი № 24).

მაიორ სვანიძის საქმე. ტფილისის საოლქო სასამართლოში ოქტომბრის 29 დანიშნულია განსახილველათ საქმე მაიორ სვანიძისა. რომელსაც სასტუმრო „სვეტის“ პატრონის მოკვლა ბრალდება.

ტფ. ქალაქის საბჭოში

25 ოქტომბერს, სხდომაზე ქალაქის საბჭომ გაარჩია შემდეგი საკითხები:

1) გამგეობის მიერ 18 ოქტომბერს სასურსათო საკითხის შესახებ გაკეთებულ მოხსენება; მოხსენება საბჭომ დაადასტურა და ამ საკითხის შესახებ გამოიტანა რეზოლიუცია; 2) გამგეობის მოხსენება აბანოების შესასვლელ ფასების გადიდების შესახებ მიღებულ იქნა; 3) საბჭოს თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის განცხადება შვებულების გაგრძელების შესახებ, გამგეობამ 7-ნოემბრამდის გაუგრძელა ვადა; 4) ქალაქის მდივნის არჩევის შესახებ—გადაიდო საბჭოს თავმჯდომარის დაბრუნებამდე.

სასურსათო საკითხის შესახებ სოციალ.-ფედერალისტთა და სოც.-დემოკრატ. ფრაქციათა შეთანხმებით მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა გამგეობის დაწვრილებითი ახსნა განმარტება იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება ტფილისის თვითმართველობისადმი პურის ცხობის საქმის მოუწესრიგებლობის გამო ქალაქის საბჭო აღიარებს, რომ გამგეობას მიუღია სხვა და სხვა ზომა ხსენებულ ბრძანების აღნიშნულ დეფექტების ასაცილებლად, მაგრამ ზოგიერთ დეფექტებს მაინც ჰქონდა ადგილი. ეს აიხსნება ერთის მხრით გამგეობის წევრთა მრავალი სხვა მძიმე მოვალეობის დატვირთვით და ტეხნიკური დაბრკოლებით, ხოლო მეორე მხრით იმ გარემოებით, რომ სხვა პასუხისმგებელ დაწესებულებებმა ვერ შესძლეს სათანადო ღირსების ხორბლის მოწოდება.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ გამგეობა განახლებულ შტატის შემწეობით შესძლებს მომავალში თავიდან აიცილოს ასეთი შემთხვევები, უცხადებს მას სრულ ნდობას ტ სთხოვს განაგრძოს თავისი მოღვაწეობა.

საბჭოს სასურველად მიაჩნია, რომ გამგეობამ თვით აიღოს პურის მოწოდების საქმე ხელმისაწვდომ ფასებში არა მარტო მუშა-მოსამსახურეებს, არამედ ქალაქის უღარიბეს ნაწილსაც.

საბჭო ამასთანავე სასურველად სცნობს, რომ მომავალში ისეთი ბრძანება-განკარგულებების სისრულეში მოყვანა ხდებოდეს თვითმართველობის ორგანოთა საშუალებით და უკანასკნელი მსჯავრი გამოჰქონდეს სასამართლოს. საბჭო ადგენს არჩეულ იქმნას სპეციალური კომისია საბჭოს ხმოსნებიდან, რომელთაც დაევალება დეტალური გამოძიება ამ საქმის მოუწყობლობის მიზეზებისა იმდენად, რამდენადაც ეს ეხება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთ და სათანადო მოხსენებით საბჭოში შემოსვლა არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა.

მასწავლებელთა კონფერენცია.

25 ოქტომბერს საღამოს სხდომაზე კონფერენციას მიესმლმა სახალხო განათლების მინისტრი ნ. რამიშვილი, რომელიც ეეხო მასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ ასეთ მდგომარეობას განიცდიან არა მარტო მასწავლებლები, არამედ მუშებიც და მოსამსახურენიც. შემდეგ მინისტრმა განაგრძო: ცხოვრების მძიმე პირობების გაუმჯობესება რომ ჯამაგირების მომატებით არ შეიძლება ეს დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყვეს. ასეთი გზით სვლა კი სახელმწიფოს ღუპავს. უფრო მიზან შეწონილია მომარაგების საქმის მოწყობა. მთავრო-

ბა მზათაა დაეხმაროს მასწავლებლებს. მასწავლებელთა ფონდისათვის 2 მილიონ მანეთის გადადებით. მთავრობა აგრეთვე წინადადებას მისცემს ერობებსა და ქალაქებს, რომ მიიღონ ზომები მასწავლებელთა. სურსათის მხრივ დასაკმაყოფილებლად და საფონდო მამულების მათ სარგებლობაში გადასაცემათო. რამიშვილის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომ თავის მოთხოვნილებანი წარუდგინოს მთავრობას წერილობით და, თუ ორი კვირის განმავლობაში ეს მოთხოვნილებანი არ დაკმაყოფილეს, მაშინ ნოემბრის 20 მოიწვიონ სრულიად საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა. მოთხოვნილი იქნება: ახალი ჯამაგირების ნორმის დაწესება, სოფლის მასწავლებელთა ჯამაგირების გათანასწორება ქალაქის მასწავლებელთა ჯამაგირთან და გაკვეთილების რაოდენობის მომწესრიგებელი სარევიზიო კომისია აირჩიეს.

ფოსტა-ტელეგრაფში

კიროჩნის ქუჩაზე ტელეფონის ჯირგინის დაზიანების გამო, ვაცნობებ პლეხანოვის პროსპექტის რაიონის აბონენტებს, რომ ტელეფონების აღდგენა შეუძლებელია დაზიანებული ჯირგინის შესწორებამდე, რისთვისაც მიღებულია სასწრაფო ზომები.

ტფილისის ქალაქის ტელეფონის ქსელის უფროსი ღებულობს სამსახურის საქმეზე მომსვლელთ თავის კაბინეტში ყოველ დღე (გარდა კვირა უქმეებისა) 8—10 საათამდე.

სია ჩაუბარებელი დეპეშებისა ოქტომბერს, 24

სიღნაღიდან—გოლდშატს; გაგრიდან—შახიმ გირკის; ყარსიდან—ოსიპოვს; იგდირიდან—ავეტისიანს; ალექსანდროპოლიდან—ეგნუნელის; ბათომიდან—ცომიკუს; ბათომიდან—წივწივაძეს; ალექსანდროპოლიდან—ტურმანიევს, ბათომიდან—კუნდუხოვს; ნაოლალევიდან—ჟორდანიას; საგარეჯოდან—თუმანიშვილს; ყარსიდან—ზაველიანს; ალექსანდროპოლიდან—ხან იტიმს; ერევნიდან—მარტინიანს; ალექსანდროპოლიდან—ვარდანოვს; ონიდან—ბაქრაძეს; ერევნიდან—ივარტის.

მილიციაში

22 ოქტომბერს ქალაქთა კავშირის კოოპერატივების თავმჯდომარემ ვ. არსენიძემ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ კოოპერატივის საწყობიდან შემჩნეულია სისტემატიური ქურდობა. სისხლის სამართლის მილიციის გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა რომ კოოპერატივის გაქურდვა უწარმოებია ამავე კოოპერატივის მოხელეს სტეფანე ავეტისის ძე ნიკოგოსოვს, რომელიც დანაშაულობაში გამოტყდა.

პროვინციის ცხოვრება

ს. ჭარელი.

ვორ. მაზრაში სკოლის გარეშე განათლების გამგე ბ. ალ. გარსევანიშვილის ინიციატივით შესდგა კრება, რომლის მიზანი იყო სახალხო უნივერსიტეტის დაარსება, წესდების გაცნობის შემდეგ კრებამ დაადგინა დაუყონებლივ დაარსდეს ქარელში სახალხო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გამგეობის წევრად არჩეული იქმნენ: ექიმი დ. ჟორდანია, მოსამართლე გ. ვოშორიძე, მასწავლებელი არ. დეკანოზიშვილი, ნ. ჭელიძე სადგურის უფროსი და სხვა.

ექ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ახალ დაწესებულებას კეთილი მომავალი მოელისო, ვინაიდან სათავეში სდგას ისეთი მოღვაწე და გამოცდილი პედაგოგი, როგორიც არის ბ. ალექსანდრე გარსევანიშვილი. მისი წინადადებით ის ჩარიცხულ იქნა საზოგადოების საპატიო წევრად. საღამოს ბ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია, რომელიც უძღვნა ჩვენ მხედრობას—ჯარს და სახალხო გვარდიას. მსმენელნი კმაყოფილნი დარჩენ ლექციის შინაარსით, უსურვოთ ქარელის სახ. უნ-ტეტს წარმატება და წინსვლა.

ს. ყვარელი.

როგორც ყვარელი, ისე მთელი მისი რაიონი სრულებით მოწყვეტილია გამოლმა მხარეს. თელავიდან დაშორებულია 35 ვერსით და რკინის გზის სადგურსაც ამდენადვე. ყვარელ-ვაჩნაძიანის ხიდის გაკეთებით ალაზანზე, არა თუ ეს ორი მხარე დაუახლოვდება ერთმანეთს და—გაუადვილდებათ მცხოვრებთ მიმოსვლა, არამედ ცენტრებსაც დაუახლოვდება რკინის გზის საშუალებით, როგორც თელავს ისე ტფილისს; პირველ სადგურამდე სულ 15—20 ვერსი არც კი იქნება.

ეს ხიდი უკვე შეძენილი აქვს სამაზრო ერობას, მოტანილიცაა, მაგრამ მისი დადგმა რამდენიმე მილიონად ჯდება და ეს აფერხებს საქმეს. ყვარელი ლონიერი სოფელია, მცხოვრებთა უმრავლესობა შეძლებულია, ისე რომ, თუ ამათაც არ გამოიღეს ხარჯის ნაწილი, მარტო ერობა ვერ შესძლებს მის გაკეთებას და ეს მხარე კიდევ დიდხანს დარჩება უგზოობით ჩამორჩენილი და გათიშული.

ვაჩნაძიანის რაიონი.

ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი და ურიათუბანი ყველა დიდი სოფელია; 200—400 კომლი მცხოვრები ითვლება თვითეულს სოფელში და ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ უცხოს ერთი განუყოფელი სოფელი ეგონება; როცა ამ რაიონს ყვარლის ხიდის გაკეთებით გაღმა მხარეც დაუახლოვდება მაშინ ხომ დიდი მომავალი მოელის. ჯერ ჯერობით კი ვეცადე კარგი მხარეები დამენახა მაგრამ ამისთანა არაფერია. მხოლოდ აღსანიშნავია წყლის გამოყვანა. ვაჩნაძიანს, როგორც სხვა სოფლებს, სასმელი წყალი არა აქვთ, რითაც ყოველ მხრივ დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ მცხოვრებნი. ეხლა უკვე შეუკრებნიათ ერთი მილიონი და მალე წყაროს წყალი ექნება სოფელს, რამდენიმე ალაგას გამოყვანილი. წყლისთვის ერთი მილიონი სულ ადვილად მიუკრებიათ. ყველა კომლს შეძლებისდაგვარაფ გამოუღია რამდენიმე ლიტრა ხორბალი ან სიმინდი და აქედან შემდგარა ეს თანხა.

ამნაირადვე სხვა სოფლებსაც შეეძლოთ გაუჭირვებლივ წყლის გაყვანა; აპირებდენ კიდეც მაგალ. შაშიანსა და ურიათუბანში, მაგრამ ეს ორი სოფელი ვერ შეთანხმდნენ, წყალს სათავე შაშიანის საზღვრებში აქვს და ნეტა ჩვენ გვეყოსო. მაშინ ურიათუბანი ისევ უწყლოდ რჩებოდა ან შორიდან უნდა გამოეყვანა. და ამნაირად ჯერჯერობით ორივე სოფელი უწყლოდ დარჩა. (ს. ს.)

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს გიორგი დავითის ძე ნარიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული სააქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის 17 თებერვალს 1920 წ. № 820. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3336 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 468 გეურქ არტემის ძე დემურეროვის სახელზე, მიღებული სიღნაღის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3313 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 444 ბაგრატ მარკარის ძე არწრუნის სახელზე, მიღებული ალექსანდროპოლის სამაზრო პოლიციის სამმართველოდან 1899 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3295 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ყაზბეგის კომისრისაგან და ორი სალდათობის მოწმობა, მიღებული მეექვსე ათასეულიდან თელავში გიორგი ივანეს ძე ღუდუშაურის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3296 3—3

დაკარგულია მორიგ გაწვევის უწყება № 50 მიცემული მე 10 კომისარიატიდან 30 მარტს 1920 წ, ვლადიმერ ანდრიას ძის პოლიაკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3269 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ნორარ ხაჩატურის ძე ხაჩატურიანცის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3305 3—3

დაიკარგა მოწმობა ანდრია ნიკოლოზის ძე შახოვსკის და მისი ცოლის სახელზე, მიღებული წყალთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3306 3—3

დაიკარგა პასპორტი № 39539 ანტონინა კუზმინას ასული და ვერა ევგენის ასული პისარევების სახელზე, ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3312 3—3

დაიკარგა მოწმობა, მოცემული სახელ. უნივერს. გამგეობის მიერ ივანე ანდ. ხოჭოლავას სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3303 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ბებუთოვის ქ. № 40 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ვართანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3329 3—2

დაიკარგა მოწმობა მიღებული ჭიათურის სახალხო გვარდიის შტაბიდან და პირადობის მოწმობა, მერეკვის თემის გამგეობიდან ცუცქერიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3331 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა გრიგოლ სისოს ძე ალიხანოვის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3332 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაკროიდა გალუსტას ასული ტერ-მინასიანცის სახელზე, მიღებული ბათომის საოლქო მილიციიდან. 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3316 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი № 576 ელენე ეგნატეს ასული ჟაბას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3318 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიღებული სამხედრო უფროსისაგან ალა კოშკელაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3319 3—2

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 3069 ლეონ გიორგის ძე დანელიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3321 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი პოლიციის ქუჩ. № 9 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის შტენგელს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3322 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გედეონ გერმანის ძე რუხაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3323 3—2

დაიკარგა ორი თვით შვებულებაში გაშვების მოწმობა გიორგი ვასილის ძე ლომთაძის სახელზე, მიღებული მეათე ათასეულიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3325 3—2

ქ. ტფილისის მე 8 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალა ფოლად იგივე პოლად გაჯი სულთან ოღლის მემკვიდრეებს რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება. სამ. კან. კრებ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3226 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული თელავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისისაგან და ჯვრის წერის მოწმობა იოსებ სიმონის ძე ხარატაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3299 3—3

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის ბარათი № 25 და მოწაფეობის ბილეთი № 26 სერგო ასტვაცატურას ძე მამიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3301 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი დიდი მთავრის ქ. № 78 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ლენჩევკისას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3302 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასულის ჟორდანია სახელზე დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. რეესტრით № 70 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3335 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურაოით № 707 მილიციონერი ნესტორ ფილიპეს ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფრ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3326 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი სარვანის ქ. № 1 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის აბულაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3328 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი კეზარ სიმონის ძე ბატოშვილის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსის ქართველიშვილის მიერ 1 სექტემბერს 1920 წ. № 4293 და დამტკიცებული სოხუმის უფ. ნოტარიუსის მიერ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3353 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ტოტოიანცის ქუჩ. № 13 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სილ. კვაიჭაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3354 3—1

დაიკარგა 2 ქალთა გიმნაზიის შვიდი კლასის დამთავრების ატესტატი და მოწმობა რვა კლასის ნინო ალექსანდრეს ასული ამირაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3356 3—1

დაიკარგა პასპორტი ნინო ეფრემის ასული ბელეცკის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3361 3—1

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2842 მინა თომას ძე მიქაძის სახელზე; მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3364 3—1

დაიკარგა პასპორტი ისააკ შობედის ძე ალალაშვილის სახელზე, მიღებული ს. ქარელის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3365 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე საველიევმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანასტასია დანიელის ასული საველიევისა, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1908 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ ივანეს ძე საველიევი თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა ვინც იცის ანასტასია დანიელას ასულის საველიევის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3368 3—1

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსანდრე ილიას ძე ლომინაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ზინაიდა ნიკოლოზ ნიკოლსკის ასულის ლომინაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1912 წ., უკვალოდ დაიკარგა 1916 წ. ვინც იცის ზინაიდა ნიკოლოზის ასულის ლომინაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3343 3—1

დაიკარგა პასპორტი № 650 ვერა თეოდორეს ასულის ვერეშჩაკის სახელზე, მიღებული უკრაინის გენერალურ საკონსულოდან ტფილისში და ორი კვიტანცია ტფ. პოლიტეხნიკუმიდან მიღებული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3375 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის მოწმობა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჩხიკვაძის სახელზე, მიღებული 2 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3371 3—1

დაიკარგა პასპორტი № 927 ელისაბედ ნიკოლოზის ასული საკოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერისაგან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3372 3—1

დაიკარგა პასპორტი № 8083 ოლოა ვლადიმერის ძე ბალოევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3367 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა № 8 გაბრიელ იასონის ძე იმნაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3369 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხსის ვადის ერთი წლით გადადების მოწმობა დავით სილონის ძეჯოხაძის სახლზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3370 3—1